სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №3

ქ.ქუთაისი

ერთის მხრივ, შპს "ქართული ტრადიციები 2011", მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, ნ. დუმბაძის ქუჩა 59-61 (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის იოსები კუჭავას სახით, მეორეს მხრივ შპს "მგა მოტორსი", მისამართი: ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ., მე-5 ჩიხი, №1ა; ს/კ: 412670587 (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის, ავთანდილი რობაქიძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 შემსყიდველმა აწარმოა ერთ პირთან მოლაპარაკება საქონლის/მომსახურების შესყიდვაზე:

- **ავტომანქანის ნაწილების შესყიდვა (შესყიდვის კლასიფიკატორი (CPV კოდი): 34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის)** და მიიღო მიმწოდებლისგან წინადადება საქონლის მიწოდებაზე შემდეგ თანხაზე: **700 (შვიდასი) ლარი.**
- **ავტომანქანის შეკეთება (შესყიდვის კლასიფიკატორი (CPV კოდი): 50112100 - მანქანის შეკეთება) და მიიღო მიმწოდებლისგან წინადადება მომსახურების მიწოდებაზე შემდეგ თანხაზე: 300 (სამასი) ლარი.**

1.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მითითებული საქონელი/მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში

1.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის/მომსახურების საფასური ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და ვადებში.

1.4 ავტომანქანის ნაწილების და შეკეთების მომსახურების შესყიდვა ან/და მიწოდება უნდა განხორციელდეს შპს „ქართული ტრადიციები 2011"-ის საკუთრებაში არსებული შემდეგი ავტომანქანებისათვის:

- Opel Astra (სახ. ნომერი: LL030LN; გამოშვების წელი - 2000; ძრავის მოცულობა - 1.6; VIN:W0L0TGF35Y2163710;
- Ford Transit (სახ. ნომერი: AA920VV; გამოშვების წელი - 1999; ძრავის მოცულობა - 2.5 (დიზელი); VIN: WF0AXXBDVAXE23652.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესასყიდი საქონლის/მომსახურების ჯამური ღირებულება (შემდეგში "ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს **1000 (ერთიათასი) ლარს.**

2.2 შემსყიდველი ვალდებული არ არის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში სრულად გახარჯოს ხელშეკრულების ღირებულება.

2.3 შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3. უნაკლო ნივთის მიწოდება

3.1 მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი საქონელი არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და იღებს პასუხისმგებლობას მისი წარმოშობის კანონიერებაზე.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ფორმა და ვადები

4.1 შესასყიდი ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ., მე-5 ჩიხი, №1ა

4.2 ამ ხელშერკურების 1.1 პუნქტში მითითებული საქონლის/მომსახურების მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან ერთი დღის ვადაში.

4.3 შესასყიდი ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზების მითითებით;

5.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტით ან შესაბამისი სასაქონლო ზედნადების გაფორმებით.

6.2 თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლის აღმოფხვრას მის მიერ მითითებულ საგარანტიო ვადაში.

7. ანგარიშსწორება და ვალუტა

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მიმწოდებლისათვის გადახდა მოხდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის ან შესაბამისი სასაქონლო ზედნადების გაფორმებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა);

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1 შემსყიდველი ვალდებულია:

9.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

9.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის/მომსახურების ღირებულება;

9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

9.2.1 შეამოწმოს მიწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

9.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

9.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

9.2.4 მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის/მომსახურების შეცვლა ან ნაკლის აღმოფხვრა.

9.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

9.3.2 მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშკრულების 1.1 მუხლში აღნიშნული საქონელი/მომსახურება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საკუთრებაში.

9.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

9.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

9.3.5 საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო საქონელი/მომსახურება ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი.

9.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.4.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს;

_ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ჯამური ღირებულების 0.02%–ს.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

11.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით, გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

11.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა

აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი 30 დღეში ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობა

17.1 „საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის შესაბამისად შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის არ წარმოიშვება ინტერესთა კონფლიქტი

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების ხელმოწერიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

19. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შპს „ქართული ტრადიციები 2011“	**შპს „მგა მოტორსი“**
მის.: ქ. ქუთაისი, ნ. დუმბაძის ქუჩა #59-61	**მის.: ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ., მე-5 ჩიხი, №1ა**
ს/კოდი: 412681218	**ს/კოდი: 412670587**
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
ს.ს ,,ვითიბი ბანკი"	**სს „თიბისი ბანკი“**
ბანკის კოდი: UGEBGE22	**ბანკის კოდი: TBCBGE22**
ანგარიშის №GE42VT0500000000013402	**ანგარიშის № GE42TB7758636120100001**
ტელ: (0431) 25-34-50; (577) 13-18-85	**ტელ: (591) 26-62-87**
ელ.ფოსტა: qartulitradiciebi2011@yahoo.com	**ელ.ფოსტა: info@mgamotors.ge ;**
დირექტორი:	**დირექტორი:**
---	---
იოსები კუჭავა	**ავთანდილი რობაქიძე**

LTD Kartuli Tradiciebi 2011

Avtandili Robakidze 60001023282

Digitally signed by Avtandili Robakidze
Date: 2024.01.20 11:14:21